



978/3-26/22 2 04022022

978/3-26/22

04-02-2022

ქალაქ თბილისის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მომაწოდოთ ინფორმაცია დღეის მდგომარეობით, ყოფილი ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ავარიულ ისტორიულ შენობაში მცხოვრებ რამდენ ოჯახს უზრუნველყოფს თბილისის მერია ქირით? ასევე, 2010 წლიდან 2022 წლის ჩათვლით ჯამში რა თანხა დაიხარჯა ასეთი ოჯახების ქირით უზრუნველყოფაში ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

1
ა. ელისაშვილი



წერილის ნომერი: **80-01220492258**
თარიღი: **18/02/2022**
პინი: **9028**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდში“ განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილი თქვენი მიმდინარე წლის 4 თებერვლის N978/3-26/22 წერილი, რომელთან დაკავშირებითაც ფონდის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით 344 ოჯახის სასარგებლოდ მიმდინარეობს ქირის თანხის გადახდა, ამასთან 2014-2022 წლებში გაცემული ქირების ჯამმა შეადგინა 11,211,894 (თერთმეტი მილიონ ორას თერთმეტი ათას რვაასოთხმოცდაათოთხმეტი) ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 აგვისტოს განჩინების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს, II სამმართველოს მიერ ამოღებულ იქნა ა(ა)იპ - „თბილისის განვითარების ფონდში“ არსებული სრული დოკუმენტაციის დედნები, შესაბამისად ფონდი მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია 2014 წლამდე (შენიშვნა: შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე ფონდის მიერ დამატებით იქნა მოძიებული საკითხთან დაკავშირებით 2014 წლის შესახებ სრული ინფორმაცია).

პატივისცემით,

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

